# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, ი. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 — სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1890



## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.



## ივერია

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.



### ქართული თეატრი

გაიმართა ხელის-მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის **ერნესტო როსსის** და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჰმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კინი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დამნაშავის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**შეილოკი,**
ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და საღამოს 5-დგან 7 საათამდე.

(10—9)


## ახალი ამბავი

*** ქ-ნ მარიამ იანქოშვილისაგან მივიღეთ მის მიერ კერძოდ თავის ნაცნობებში შეკრებილი ორი თუმანი. ამ ფულიდგან, ქ-ნ შემკრებელის თხოვნით, ერთი თუმანი წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ გაიგზავნება და ერთი თუმანიც განსვენებულის დ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდს მიემატება. ამ ფონდის ფული აქამდე იყო 677 მან. 7 კაპ. ეხლა იქნება 687 მან. და 7 კაპ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალს წელს დედათა პროგიმნაზიაში გაიმართება მეორე კლასის განყოფილება, მხოლოდ მეექვსე კლასის გამართვა დროებით შეყენებულია. ამას გარდა მოსამზადებელს კლასში ამ წელს 40 ვაკანსიაა. ეგზამენები პირველ კლასში მიღებისა დაიწყება ამ თთვის 28—30-მდე და სხვა კლასებში-კი აგვისტოს გასულს.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიაში ეგზამენები მეშვიდე კლასისა, რომელიც მაისის სამს დაიწყო, გათავდება იენისის 12. ამ თთვის 28—30-მდე პირველ კლასში მისაღები ეგზამენები იქნება. ამ წელს ამ გიმნაზიაში სულ 80 ვაკანსიაა მოსამზადებელ კლასებში, ხოლო სხვა კლასებში ალაგი სულ არ არის, და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ვისიმე მიღება, თუ რომ გიმნაზიიდგან გავიდა რომელიმე მოსწავლე ავადმყოფობისა, ან სხვა მიზეზისა გამო.

*** გუშინ ბათუმიდგან დეპეშა მოვიდა, რომ შავს ზღვაზე ფრთონა არის, და გემი, რომლითაც ერნესტო როსსი მოდის ოდესიდგან ბათუმში, ერთის დღით დაგვიანდაო. ამის მიზეზით პირველი წარმოდგენა როსსისა იქნება კვირას, 27 მაისს.

*** გუშინ, ამ თთვის 25, კავკასიის გზით ჩამოვიდა რუსეთიდგან ტფილისს კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტიევი.

*** მის უდიდებულესობის ნასრედინ სპარსეთის შაჰის პირველ მეუღლის ტფილისში ჩამოსვლას მოელიან ხვალ, ამ თთვის 27. მისი უდიდებულესობა სპარსეთის საელჩოში ჩამოხდება. აქედგან მის უდიდებულესობა ბაქოთი გაემგზავრება თეირანს და გააცილებს სპარსეთის მინისტრი მირზა-ასად-ულლა-ხანი, რომელიც გუშინწინ ჩამოვიდა ტფილისში მის უდიდებულესობის მისაგებებლად.

*** ჩვენის გაზეთის მკითხველმა იცის, რომ საერო განათლების სამინისტრო იმ პირობით დათანხმდა გამართნა ტფილისში სატეხნიკო სასწავლებელი ქიმიკურისა და სამეურნეო განყოფილებით, თუ რომ ტფილისის თვით-მმართველობა და ტფილისის ბანკი დაუთმობდა სამინისტროს თანხას, გადადებულს კავკასიის მომავალის უნივერსიტეტისთვის. რაკი საერო განათლების სამინისტრომ საჭიროდ დაინახა ასეთი პირობა, რომლის შეუსრულებლობა გამოსწირავდა ტფილისს საშუალო სატეხნიკო სასწავლებელს, ასე დიდად საჭიროს ჩვენის ქვეყნისათვის, ტფილისის ქალაქის თავემა მიართვა, სადაც ჯერ არს, არზა და აუწყა მთავრობას, როგორც საუნივერსიტეტო თანხის ვითარება, ისე იმ შემწეობისა, რომელსაც ქალაქი ჰპირდება მთავრობას, თუ იკისრებს ქალაქში საშუალო სატეხნიკო სასწავლებლის დაარსებას. ტფილისის თვით-მმართველობას, ამბობს ბ-ნი მატინოვი ზემოხსენებულ არზაში, აქვს ახლა ნაღდად საუნივერსიტეტო თანხიდამ მხოლოდ 4500 მანათი, ნასესხებიც 36,100 მან., მაშასადამე სულ 40,600 მან. ამ ფულის სარგებელი წელიწადში, ხუთ პროცენტობაზე რომ ვიანგარიშოთ, შეადგენს 2030 მანათს. ამ ფულს რომ არ შეეხოთ, ქალაქი დაეხმარება მთავრობას, თუ იგი გაჰმართავს საშუალო სატეხნიკო სასწავლებელს, წელიწადში 3000 მანათით. ამას გარდა ქალაქი დაუთმობს თავის მამულებიდამ 200 დღიურ მიწას სავერმოდ, რომელიც საჭირო იქნება სატეხნიკო სასწავლებლის სამეურნეო განყოფილებისათვის. ეს წინადადება ქალაქის თვით-მმართველობისა სამინისტროს უცნია სასარგებლოდ მთავრობისათვის და უარ უყვია თვისი პირვანდელი განზრახვა, რომ სამინისტროს გარდაეცეს უნივერსიტეტისათვის გადადებული თანხა. ამ გვარად ერთი საგანიღა დარჩენილა სამინისტროს თვის გამოურკვეველი, სახელდობრ ისა, თუ რა მონაწილეობას მიიღებს მომავალის სატეხნიკო სასწავლებლის ხარჯში ტფილისის ბანკი. დღეს სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ საერო განათლების მინისტრი, გრაფი დელიანოვი, სთხოვს ბ-ნ მთავარ-მართებელს გამოარკვიოს ეს საგანიც და, რაც შეიძლება, მალე შეატყობინოს ამ საგნის შესახები გარემოება. თავის მხრით ბ-ნ მთავარ-მართებელს მიუცია წინადადება ბ-ნ ტფილისის გუბერნატორისათვის, შეჰკრიბოს საჭირო ცნობანი და გაუგზავნოს მინისტრთან წარსადგენად.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში შე-

---

## ფელეტონი

### სამშობლოს ძლიერი

სიყვარული ანუ ექსტაზი.

(დასასრული*)

სამშობლოს სიყვარული წლითი-წლობით იზრდება, და როდესაც მე, რამდენისამე თთვის შემდეგ, ინდოეთიდამ მომავალმა, ვიგრძენ, რომ ხვალ იტალიას ვნახავდი, ჩემმა გულმა ისეთის ძლიერის სიხარულით დაიწყო ცემა, როგორის სიხარულითაც სცემს ხოლმე მაშინ, როცა საყვარელი ქალი მიღიმის.

ჯერ არ დამენახა ჩემი ქვეყანა, მაგრამ ვგრძნობდი-კი, რომ მალე დავინახავდი. ვგრძნობდი, რომ მელოდა, მელოდა ისე, როგორც გველის ხოლმე დიდის ხნის უნახავი გულის სწორი ქალი. ჩემი სამშობლო, ჩემი იტალია ჩემს ახლო იყო. ამის საბუთი იყო ჩემთვის ცის-ფერი ტალღები, ლაჟვარდი ცა, ფორთოხლის ხეების სურნელება, რომელიც მოჰქონდა ნიავს ღვთისგან კურთხეულის კალაბრიის და სიცილიის ადგილებიდგან. თავ-დავიწყებით გავყურებდი შორს ცის დასავალს, რომელსაც ჩემი გემი თან-დათან უახლოვდებოდა. ბურუსი ნელ-ნელა იფანტებოდა, ასე რომ შემეძლო დამენახა ის ახალი და ძველი ქვეყანა, რომელიც ჩემთა წინაპართ სამშობლოდ ითვლება. რამდენისამე საათის შემდეგ უნდა მეკოცნა იმ მიწისათვის და ჩემს თავზედ უნდა გადაშლილიყო ის ფირუზი ცა, რომელიც ჩემის დაბადების დღეს მეალერსებოდა. მე არ მოვკვდები უცხოეთში და ჩემს ძვირფას ნაცნობთ და ნათესავთ შეეძლებათ დამიტირონ ჩემს სამშობლოში, რომელმაც გაგვაჩინა ქვეყნად მეცა და ჩემის გულის საყვარელნიც.

რამდენიც წინ მივდიოდი, იმდენი უფრო ნათლად გამოჩნდნენ ნაპირნი და ნავთსაყუდელნი, მთანი და ველნი ნისლში შთანთქმულის ქვეყნისა, მის მთებზედ გამოჩნდნენ თეთრად გალესილნი სახლები, გამწვანებულ ვაზებით დარჩდილულნი. ამ სახლებში ეძინა ხალხს, რომელიც ჩემს ენაზედ ლაპარაკობდა; სალამის მაგივრად ეს ადგილები მიგზავნიდნენ სურნელებას ჩემის ბაღისას, ჩემის ყმაწვილობისას და ჩემის პოეზიისას. იქ მე ეუყვარდით, იქ ჩემს სახელს გულგრილად არ წარმოსთქვამდნენ, იქ მე მიმელოდნენ, იქ ხელები იყო გაშლილი გულში ჩემს ჩასაკვრელად გამზადებულნი, იქ იყვნენ ცოლი და შვილი, რომელნიც ჩემს კოცნას მოუთმენლად ელოდნენ. ასე დიდხანს როგორ გავძელ უცხოეთში, მოშორებული ამ ხეხილებს, ამ ტკბილ ალერსს, ამ კურთხეულს ადგილს, რომელიც იყო ჩემი აკვანი და ჩემი სამარეც ეს იქნება? როგორ ავიტანე ეს სატანჯველი.

გემი თან და თან წინ მიცურავდა; მარჯვნივ იყო იტალია, მარცხნივ იმის ერთი უდიდესი კუნძულთაგანი; იგინი ნელ-ნელა მიახლოვდებოდნენ და ისე მეჩვენებოდნენ, თითქოს ორი ხელი იყო ჩემსკენ გამოწვდილი, ჩემს მოსახვევად განმზადებული. მე უკვე ვგრძნობდი ხვევნას და ალერსს, უკვე მესმოდა კაცის ხმა და ეს ხმა იყო ხმა იტალიელებისა. თვით ჩემის გემის იალქნები უფრო სპეტაკი და მხიარული მეჩვენებოდა. იტალიის გემის იალქნები იყო და იმიტომ.

დიდებული ეტნა ჰბოლავდა და იტალიის ქუსლი*) მიჰბჯენოდა ცისფერ ზღვის ტალღებს, თითქოს გადახტომას ლამის ქვეყნის დასამორჩილებლადაო.

დიდის სიხარულით გადავარდებოდი ამ ტალღებში, რომ გავენათლიყავ იტალიის ზღვაში, რომ უფრო მალე მივსულიყავ და შევხებოდი ამ წმინდა ადგილს, ამ ღვთიურს მხარეს, დედას სამის ცივილიზაციისას, ამ გმირთა და წამებულთა საკანეს, რომელმაც ესოდენ ერს ასეთ წყარო აზროვნობისა და აგემა სიტკბოება პოეზიისა. რა ნაირის თავ-მოწონებით, რა ნაირის სიყვარულით და მოუთმენლად მინდა დავუბრუნო ამ ქვეყანას მისი დედობრივი ალერსი, რომელსაც მიგზავნიდა იგი მე, ჯერ ისევ შორს მყოფს.

თუ რომ ეს ექსტაზი არ იყო, მაშ რაღა ყოფილა ექსტაზი? თუ რომ ეს არ იყო დატყვევება გრძნობისა, გულისა, სიყვარულისა; თუ რომ ეს არ იყო უწმინდესი დათრობა, მაშ რაღა არის დატყვევება და დათრობა? თვალები ცრემლებით სავსე მქონდა, მაგრამ სიხარულის ცრემლებით კი; ბაგე მდუმარებდა, მაგრამ ღიმილი კი მოსდიოდა, რადგანაც ელოდა კოცნას, რომელსაც უნდა მოეკალი კაცი და ღმერთად გადავექციე.

განსაკუთრებულს ექსტაზს სიყვარულისას სამშობლოს მიმართ უნდა ჰგრძნობდნენ ყველა ის მცირედნი რჩეულნი, რომელნიც იმისთვის დაიბადნენ, რომ შესძინონ თავიანთ სამშობლოს ქება და დიდება; ეს რჩეულნი კაცნი პირველში ოცნებობენ ხოლმე, მაგრამ შემდეგ კი ნამდვილად ფიქრობენ იმ დიდს საქმეზედ, რომელიც მათ სიცოცხლის საგნად გახდომიათ.

მომეტებული ნაწილი ამ იშვიათის და ულრმესის სიყვარულისა გადის საბრძოლველად დიდხანს მზადებაში; მაგრამ იმ შიშის მოლოდინში,—ვაი თუ ესოდენმა ამაგმა ამაოდ ჩაგვიაროსო,—გამოერევა ხოლმე ისეთი წამნიც, როდესაც აღფრთოვანებული გონება რჩეულის გმირისა დაინახავს შორს ცის დასავალზედ ცისკარს გამარჯვებისას, და გული იმედით დაუწყებს ძლიერად ძგერას. რამდენი უმაღლესი და უტკბესი სიზმარი გამოსცადეს მაძინიმ, კავურმა, გარიბალდიმ, როცა იგინი დევნილნი, რომელსამე სასახლეში ან ბრძოლის ველზედ, ოცნებობდნენ, რომ გაეხადნათ თავიანთი სამშობლო თავისუფალი, დიდებული, გაერთიანებული; უამესი და უტკბესი სიზმარი გამოსცადეს იმი-

*) იხ. „ივერია" № 107.

*) იტალიას ისეთი შესახედაობა აქვს, რუკაზე რომ დაჰხედოთ, თითქო წაღააო.

მთარგ.

გირდების გამოცდა 27 მაისს თავდება. ტფილისის სემინარიაში ეგზამენები ამ თთვის დამლევსავე თავდება. ქალების სასულიერო სასწავლებელში მოწაფეებს მაისის დამლევს ითხოვენ და სავაჟო სასულიერო სასწავლებელში-კი ეგზამენები 4 ივნისს თავდება.

*_* ლატარია-ალეგრი ტფილისის მეორე გიმნაზიაში კურსის შემსრულებელთა სასარგებლოდ, „ევროპაში“ კი-არა, როგორც გუშინა გვქონდა მოხსენებული, მუშტაიდში იქნება და, გარდა ამისა, ქნი საინაც მიიღებს მონაწილეობას.

*_* დღეს დაურიგდათ ხელის-მომწერლებს სამეურნეო საზოგადოების ჟურნალის ბ. №№ 3—5-ი. ამ მოზრდილ წიგნში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: ა) 1889 წლის ანგარიში ქუთაისის ფილოქსერის გასაწყვეტად დაარსებულ გუნდისა, წერილი გეევსკისა; ბ) რამდენიმე სიტყვა შესახებ ბამბის მრეწველობისა ერევნის გუბერნიისა და ამიერ-კავკასიაში, ტარატინოვისა; გ) სარგებლობა ბამბისა, კრაუზესი; დ) აგრონომიული კრება ბუნების-მეტყველთა და ექიმთა პეტერბურგს (1889—1890 წ.) ქალანთარისა; ე) პრაქტიკული სახელმძღვანელო მოლვაწეობა, თარგმნა ფრანგ., სტაროსელსკის მიერ; ვ) ცხოვრების ვითარებანი შავის ზღვის ნაპირის ახალ-მოშენეთა და მათი მეურნეობა, როზოვისა; ზ) ამერიკულ ვაზის გამოყენება, თარგმ. სარაჯიანისა; ჱ) რუსეთის სატყეო სახელმძღვანელო, ყარაგოზოვისა; თ) მოხსენება ტფილისის სამეურნეო საბაღოსნო სკოლის გადაკეთების შესახებ, გ. გეევსკისა; ი) ჯუთის თესვა-მოყვანა, ტარატინოვისა; კ) გაგრძელება გოშეს სახელმძღვანელოსი ხეთა და ბუჩქნართა გაშენებისა და გამრავლების შესახებ. ზოგიერთ წერილის შინაარსს შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

*_* საცხენისი (ტფილისის მაზრა): ღამე, მაისის 17, სწორედ თორმეტს საათზედ, სოფ. საცხენისში შემდეგი უბედურება დატრიალდა: როგორც ჩვეულება არის სოფლად, გუთნის ხარი ღამე მინდორში უყენიათ ხოლმე საძოვრად. საცხენისელებსაც მინდორში ჰყოლიათ მთელის სოფლის გუთნების ხარი ერთი-ერთმანეთზედ ახლო, რაკი მინდორიც პატარა აქვთ, ასე ორმოცის საჟენის სიშორეზედ. სწორედ თორმეტის ნახევარზედ დაიწყო წვიმა და თან მოჰყვა ელვა და საშინელი ქუხილი. ამის გამო შეშინებულს ღამის მეხრეებს ხარები პტყენების ახლო მიერეკათ და თითონაც ქვეშ შეჰფარებოდნენ. ორს იმათგანს, იაკობ ფიცხელაურსა და ბესო კახაბრიშვილს, მისძინებოდათ პტყენის ქვეშა, სხვებს-კი არ დაეძინათ ჯერ კიდევ. თორმეტს საათზედ უცებ დაიქუხა ცამ და, როგორც სხვა ღამის მეხრეები ამბობენ, ღრუბლიდგან ნამგლის სახედ დახვეული და სანთელივით ანთებული ცეცხლი ჩამოექანა თურმე ქვევით სწორედ პტყენის პირდაპირ. როდესაც პტყენის წვერს მოჰხვდა, გაანათა მთელი პტყენა, ასე რომ ახლო-მახლო ადვილად შეიძლებოდა კაცის გარჩევა. რამდენიმე წუთი ასეთი ნათელი იდგა, ადგილ-ადგილ პტყენისთვის ქერქი აეგლიჯა და პტყენის ქვეშ მძინარე კაცებს დასცემოდა, რომლებსაც თავები ხის ძირში ჰქონოდათ მიყუდროებული. პირველს იმათგანს ძალიან სძინებოდა, პირ-ქვე წოლილიყო, დასცემოდა კისერთან, მარჯვენა ფეხზედა და ხელებზედ. ამ კაცს ისეთი ნასახი აქვს დატყობილი, თითქოს თოფის ტყვია მოჰხვედრია და მოუშუშხავსო. ორის ხელის დადებაზედ შავადა აქვს მორუჯული და ტანისამოსიც გამწვარი აქვს რგვლად, თითქოს ტყვიისაგან გაპობილი არისო. ამასთანავე გულ-გვამი ეწვის და თითონ ავადმყოფს მძიმე ხრუკის სუნი უდის, უფრო გოგირდის სუნს მოაგავს. მეორეს ძალიან არა სძინებია, ოდნავ ყოფილა ჩათვლემილი, დასცემია მარცხენა მხარეზედ და ორის თითის დადებაზედ მობებრებული აქვს ხორცი და მთელს მხარს ვერა ჰხმარობს. როცა დასცემია პტყენას, მაშინვე ცუდი სუნი დატრიალებულა, დაბნედილა სუნითა და ძლივს გადაგორებულა რამდენსამე ადლზედ პტყენისაგან, საჩქაროდვე მოსულიერებულა, ამდგარა და უნახავს, რომ რამდენიმე ხარი პტყენას ქვეშა ჰგორავს და საცოდავად ჰბღავის. ხარებისათვის ყური არ უგდია, მაშინვე მივარდნილა ამხანაგსა და ჩაუძახნია, მაგრამ კაცი გაგუდული ყოფილა; თითონაც შეშინებული ყოფილა ძალიანა და ისევ დაცემულა; შემდეგ დაუძახნია სხვა ღამის მეეხრეებისათვის: „გვიშველეთო!“ ისინი საჩქაროზედ მისულან, აუწევიათ კაცი, ჩაუძახნიათ, მაგრამ კაცი ენა ჩავარდნილი ყოფილა. ოთხი ხარი იქვე დაბერილიყვნენ და დახოცილიყვნენ; ამათში მარტო ერთსა ჰქონდა გვერდზედ და ყბაზედ დაშუშხული, სხვები სუნით დამრჩვალიყვნენ. ამათში ორი ძლიერ დაშავებულისა იყო, მეტიც არა ჰყავდა, ერთი ხარი ისევ ცოცხალია გაბერილი და ერთს კამეჩს თვალი აქვს გამოთხრილი. ამ ჟამად პირველი დაშავებული კაცი ძალიან ავად არის და წვრილ-შვილი დასტირის; მეორეც დღეის-ერთაა, იმასაც ტანი დაუსივდა და ერთს მხარეს ვერა ჰხმარობს, თუმცა ფეხზეა და ძლივს დასანსალებს. გულითადის მადლობის ღირსია მუხროვანის ექიმი ბ-ნი მარეცკი, რომელმაც აღუთქვა წამლობა ამ საცოდავთ. არამც თუ ამათ, ყველა ავადმყოფს, ახლო-მახლო სოფლებისას, ვინც იქ მიდის, უფასოდ არჩენს და წამალს აძლევს, თუ თავის პატარა აფთიაქში მოეპოვება. თუმცა სოფლელებსაც შინ მიჰყავთ ხოლმე ავადმყოფებთან, მაგრამ მაინც გასამჯელოს არ იღებს ღარიბისაგან.

*_* 25 მაისს, ნაშუადღევის ხუთს საათზე, გომსა და სკრას შუა ნიაღვარმა და სეტყვამ ჩამოლეკა და ჩამოიტანა მიწა და ქვა რკინის-გზის ლიანდაგზე და ამ დროს მიმავალის მატარებლის სამი ვაგონი ლიანდაგს გადასცდა. უბედურება არავის დამართნია („ახ. მიმ.“).

*_* გაზ. „С.-Петер. Вѣд.“-ის სიტყვით, ფინანსთა სამინისტროს ნება მიუცია ტფილისის სამოქალაქო საზოგადოებისათვის, რომ ყოველ წლივ სამეურნეო და სამრეწველო იარმუკა გაჰმართოს ხოლმე.

*_* ხაიშგიდო: აქ ამ გაზაფხულზედ რამდენჯერმე აქა იქ ზევიზედ იძრა მიწა და ამ გარემოებამ ხალხი ძალიან დააშინა.

*_* გაზ. „კავკაზში“ სწერენ ოზურგეთიდგან: აქაური მცხოვრებნი დიდი ხანია ხდიდნენ არაყს, მაგრამ მას შემდეგ, რაც სააქციზო წესდებულება შემოვიდა, გლეხებმა თავი მიანებეს ამ ფრიად სასარგებლო წარმოებას. აქციზის მოხელეები იმის მიგიერ, რომ აეხსნათ მათთვის, თუ რა წესით შეუძლიანთ არაყის ხდა, და წაექეზებინათ, „პროტოკოლების“ წერას შეუდგნენ და ვინც მიეიდოდა და სთხოვდა, შემატყობინეთ გარემოებაო, ამნაირს პასუხს აძლევდნენ. არ გაბედო, შე საწყალო, და არაყი არ გამოხადო, თორემ მაშინვე „პროტოკოლს“ შეგიყენებო. ამ ბოლოს დროს უფრო გაგებული მოხელეები გვეღირსა და იმათის წყალობით ოზურგეთში ახლა 72 არაყის სახდელი ქარხანა არის; მაგრამ ერთი გარემოება უშლით კიდევ ხელს მცხოვრებთ: აქციზის მოხელეებს ოზურგეთში აქვთ ბინა და სანამ ქარხნის გამართვის ნებას მოიპოვებდენ აქაურს მოხელის საძებნელად მთელს კვირას უნდა იარონ.

*_* მინისტრთა კომიტეტს, როგორც „Нов. Вр.“ ამბობს, დაუმტკიცებია კერძო კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა იმის შესახებ, თუ როდის შეუძლიანთ სახელმწიფო სამსახურის მოხელეებს ითხოვონ სახელმწიფოსაგან დახმარება თავიანთ შვილების გამოსაზრდელად. წესდების ძალით, ამის ნება მხოლოდ იმ მოხელეებს ეძლევათ, რომელთაც 15 წელიწადი უმსახურნიათ და ან რითიმე უჩენიათ თავი სამსახურში.

*_* მაისის 24, პოლიციის მექვსე ნაწილში, პარუნბეგოვის ქარვასლაში, უეცრად გარდაიცვალა დუშეთის მცხოვრებელი ნიკოლოზ როტინოვი. ექიმის სიტყვით, როტინოვს სისხლი ტვინში ავარდნია. გარდაცვალებულის გვამი საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი) ამბავი

ქ. კაშკაში. 10 მაისი, ზნეობრივი სიცოცხლე და გონებრივი სიფხიზლე კავკასელ ქართველობისა გამოიხატა ქართულ სკოლის დაარსებით.

ეს სკოლა დაარსდა გიორგობა დღეს, 1888 წ. ნოემბრის 10-ს, და დაარსებისათანავე სწავლა დაიწყო 29 მოსწავლით.

ამ ჟამად სკოლაში სწავლობს 40 ქართველი ყმაწვილი, ამათში თვით ქაშკაშიდგან არის 20 და დანარჩენი მოხევენი*) არიან. სკოლაში ორი განყოფილებაა: პირველში—22 შეგირდი სწავლობს და მეორეში—18. როგორც მასწავლებელმა აგვიხსნა, წელს ძალიან ბევრი გაზრუნებულა დღონებულა, რადგან უადგილობის გამო ვერ მიიღეთ. სასწავლებლის სადგომში, თუმცა ძალიან მშვენიერს ადგილას არის აგებული—ზედ თერგის პირზედ—, მაგრამ ორმოც ბავშვზე მეტი ვერა თავსდება. რადგან მოხევე ქართველობა ძალიან გამოფხიზლდა და თავ-გამოდებით მიისწრაფის სწავლისაკენ, ამიტომ, ჩვენის აზრით, ამ გარემოებას დაუყოვნებლივ უნდა მიაქციონ ყურადღება სკოლის ბედის მზრუნველთ და რამე ღონე იღონონ, რომ სწავლის წყურვილი ყველას დაუკმაყოფილონ.

სკოლის დაარსებიდგან მასწავლებლად, ჩვენდა სასიხარულოდ, იგივე ბ-ნი ივანე ბედელაძე, რომელმაც თავისის მხნეობითა და შრომით უკვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება, როგორც მომზადებულმა პედაგოგმა.

საღვთო რჯულის მასწავლებლად ბ-ნი ფხაკაძე იყო და წელს-კა აღარ ასწავლის, რადგან ჯამაგირი ათი თუმანი იცოტავა.

ბ-ნ ხარაძეს თაოსნობით ამ ზაფხულიდგან სკოლის ერთს ოთახში აბრეშუმის მოყვანაა დაწყებული და თითქმის ყველა მოსწავლე ძალიან დიდის ხალისით მო-

*) მოხევეებად იწოდებიან თერგისა და სხვა მდინარეების შეყოლებაზედ მდებარე ადგილების სოფლელნი. ამ სოფლებში (ყაზბეგი, კობი, სამება და სხ). ქართველობა ოსებშია შერეული.

ტომ, რომ ჰგრძნობდნენ თავიანთ თავს ამ უდიდესის საქმის მოთავედ. აი იმედნი ესოდენის საუკუნოებისა, ოცნება ესოდენთა შთამომავლობათა!

საქმენი და ღვაწლნი გმირთა იწერება ბრინჯაოს ფიცრებზედ ანუ მარმარილოს ძეგლებზედ; იწერება რკინით და ცეცხლით, საპყრობილით ან წამებით, შემკრთალის ფხიზელის აზრის მოქმედებით. დაუწერელი რჩება მხოლოდ ექსტაზი, რომელიც ამზადებს ამ ღვაწლს და წინადვე ჰხედავს მის ნაყოფს.

ყველა გვარი ნაყოფიერება იწყება სურნელოვან და სიტურფით მბრწყინავ ყვავილის ხვევნით, ხოლო ყოველს სულიერს არსებას ჰბადავს სიყვარული. სწორედ ამ ნაირადვე ის დიდი საქმენი, რომელიც იხსნის და ადიდებს რომელსამე ერს, ამსხვრევს მონობის უღელს და აფართოებს სამშობლოს საზღვრებს, ის დიდი საქმენი არასოდეს არა ჩნდება უეცრად, ქარიშხალივით, რომელისამე გენიოსის სურვილით; იგი საქმენი ნელ-ნელა მზადდება და ნელ ნელავე მწიფდება გულისა და აზრის საკურთხევლში, იქ, სადაც ჩამალული თესლი რომელიც შემდეგ მთელს ერს სხივს მოჰფენს. პოეზია, რომელიც მხოლოდ განუვითარებელ ხალხსა სძულს, რადგან ვერ მიხვედრილა მის სიტკბოებას, პოეზია დედაა ყველა დიდის საქმისა და არ მოიპოვება არც ერთი დიდი გმირი ანუ სახელმწიფო კაცი, რომელიც იმავე დროს პოეტიც არ იყოს—პოეტი მოღვაწეობაზედ ოცნებით, პოეტი სხვა-და სხვა ხერხის მოგონების საქმეში, პოეტი თავის თავის დატკბობაში კარგის ბედის წინასწარ ხედვით, პოეტი სიყვარულის ექსტაზებში, რომელიც დაანახვებს მოღვაწეს მომავალს ჯილდოს დიდის მოღვაწეობისათვის. ტყუილად-კი არ ამბობდნენ ბერძნები, რომ პოეტი ჰქმნისო.

მაგრამ წმინდა ექსტაზი სიყვარულისა სამშობლოს მიმართ შეუძლიანთ გამოსცადონ არა მარტო გმირებს, ამ ისტორიის ნახევარ ღმერთებს. ყველა იმათ, რომელთაც გულ-მხურვალედ უყვართ თავიანთი სამშობლო, მზად არიან შესწირონ მას თავიანთი თავი და სცდილობენ მოუპოვონ დიდება და ძლიერება,—ყველა იმათ შეუძლიანთ იგემონ სიტკბოება ექსტაზისა. არავის არ შეუძლიან მიიტანოს დიდის გრძნობის საკურთხეველზედ იმაზედ უდიდესი მსხვერპლი, როგორიც თავის თავია, ხოლო რევოლიუციის, ამბოხების და დიდის ომების დროს რიცხვი სამშობლოს ერთგულთა შვილთა ლეგიონია და ისტორია ივიწყებს იმათ მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან ბევრნი არიან. ისტორია მეორე ხარისხის წამებულთ საზოგადოდ მოიხსენიებს ხოლმე. პელიკო წამებულია შეთქმულობისა, მაძინი მოციქულია სამშობლოს რელიგიისა, გარიბალდი გმირია, კავური შემომქმედია აზრისა და სხვ.

ყველა ნაირის თავ განწირვის, ყველა ნაირის საქმას და ყველა ნაირის მოქმედებისათვის ისტორია გამოიყვანს ხოლმე შესაფერს კაცს და გადააქცევს სტატუად, კერპად და ტიპად, მაგრამ ისტორია ამასთანავე ივიწყებს იმ ურიცხ შეუნიშნავ კაცებს, რომელნიც თავს იყრიან ხოლმე უპირველეს გმირთა გარშემო და მათ მხარს უმშვენებენ.

მაგრამ ამ ხალხს ფიქრადაც არ მოუვათ დაემდურონ ისტორიას უსამართლობისათვის. მათ თავის დღეში არ უოცნებიათ არც ძეგლებზედ, არც დაფნის გვირგვინებზედ, არც ტრიუმფალურს არკებზედ. მათ უყვარდათ სამშობლო, იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ მისთვის; ამით მათი მოვალეობა დასრულდა და იგინიც ისევე ბედნიერნი არიან, როგორც პელიკო, გარიბალდი, კავური. მათაც გამოსცადეს ყოველივე სიტკბოება იმედისა და გამარჯვების ექსტაზებისა და სამშობლომაც დალოცა და ადიდა იგინი თავის დიდებულთა პალატთა და უბრალო ქოხთა შორის. სამშობლო დიდებულია, როდესაც ისეთი შვილები ჰყავს, რომელნიც არიან შემაერთებელნი ხიდნი სხვა-და-სხვა დროის შთამომავლობისა. რას იზამდა ქრისტე, თუ რომ მოციქულები არა ჰყოლოდა? რას იზამდა გარიბალდი, რომ თავის სახელოვანი „ათასი“ არა ჰყოლოდა, ანუ კავური, თუ რომ 21 წლების მომქმედთა გამოცდილება არ გამოეყენებინა?

არა, ბუნება ისე უსამართლო არ არის, როგორც ერთის შეხედვით გვგონია. უდიდესნი ამოვნებანი ცხოვრებისა არ გაიზომება არც გენიოსის ალაბით და არც მდიდარის სასწორით აიწონება. ყველა კაცს შეუძლიან სიკვდილის წინად გამოსცადოს სიტკბოება საყვარელის ქალის კოცნისა, ყველას შეუძლიან თავის ასულს დაუკოცნოს ბაგენი. არ არის ისეთი კაცი, რომელიც ისე სულით გლახა იყვეს, რომ თავის თავი სამშობლოს მსხვერპლად არ შესწიროს; არ არის ისეთი კაცი, რომელიც იმდენად უწმინდური იყვეს, რომ არ გამოეცადოს ექსტაზი გრძნობისა და პოეზიისა. მზისთვის, რომელიც ერთნაირად ჰფენს სხივებს ყველა ქვეყნიურს არსებას, არ არსებობს არც დიდი, არც პატარა და მისი ცხოველმყოფელი სხივნი ერთნაირად ჩაადგება და ჩაეფინება ყველა ნაირს გულს, ყველა ნაირს ქოხს.

მცირე რიცხვიდგან დიდი რიცხვი შესდგება, თუ რომ შეუერთებთ ერთმანეთს; სწორედ ასევე სუსტი გრძნობა შეიძლება ქარტეხილად გადაიქცეს, თუ რომ ბევრის გული ერთსა და იმავე დროსა სძგერს. რა არის წვეთი! ზღვა-კი წვეთისაგან შესდგება... მე მგონია, არც ერთი გრძნობა ისე არ განდიდდება გამრავლებით, როგორც მამულისადმი სიყვარულის გრძნობა; მაშინ აღფრთოვანება კერძო კაცთა გადიქცევა იმ მედიდურ ტალღებად, რომელიც წალეკავს ხოლმე არე-მარეს და თან მიაქვს წინ შეხვედრილი სახლები და ხეები, დაბა და სოფელი და მთელი ერი.

გულის ცეცხლი, გაჩენილი საკუთარის ქვეყნის განდიდებითა და ბედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკუებია ამ ახალს სასწავლო საგანს. სკოლაში გაკვეთილების დროს დავესწარ და, ჭეშმარიტად, რომ სულითა და გულითა დავსტკბი. გაკვეთილებს რუსულიდგან ქართულად და ქართულიდგან რუსულად მეორე განყოფილების მოწაფენი ძალიან თავისუფლად სთარგმნიან და კითხულობენ. აგრეთვე ქართულ-რუსული წერა საკმაოდ კარგა იციან. ამას გარდა მთელ ხორითი მშვენიერად იგალობეს: „თამარ მეფე და ხონთქარი", „მარილზე წავედ", „ოქროს დილა" და „მახსოვს პირველად სასწავლებელში" ორ კილოზე. აგრეთვე მოწვეულია ბ-ნი კრაველი და, ერთი თვეა, რაც ეს მასწავლებელი რუსულ გალობასა და მღერასაც ასწავლის.—აქვე სკოლასთან პატარა ადგილია და თვით ბ-ნი ბედელაძე ბაღეულობას და ბოსტნეულობას ასწავლის. ამ სამაგალითო სკოლის არსებობა დამტკიცებულია:

1) საწევრო ფულის შემოტანაზედ, როგორც სიიდგან სჩანს, ხელ-წერილით იკისრეს სამის წლის ვადით 126 წევრმა წელიწადში 2000 მ. გადახდა სკოლის სასარგებლოდ. წევრთა შორის ამ კეთილ საქმეს ყველაზე მეტს სწირავენ ყოველ წლივ: იოსებ ვასილის ძე მოზდოკელაშვილი 120 მ., დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი 100 მ., მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი 75 მ., ალექსანდრე ივანეს ძე ივანეშვილი 75 მ., ოთხი წევრიც ხუთ-ხუთ თუმანს და დანარჩენი წევრნი შეძლებისადა გვარად. 2) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" ერთხელ დახმარებია 200 მანათით. დიდად სასურველია, რომ ეს საზოგადოება ყოველთვის მცირეოდენს დახმარებას არ დაიშურებდეს ამ სკოლისათვის, რადგან დახმარებას ნივთიერად იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც ზნეობრივად. 3) ბ-ნ მიხეილ ყიფიანის თაოსნობით ორჯელ გამართულ სეირნობიდგან შემოსულა 744 მ. 45 კ. იმისივე თაოსნობით კიდევ ყოფილა გამართული „მასკარადი", საიდგანაც შემოსულა სკოლის სასარგებლოდ 130 მ. 4) კავკავის ქალაქის საბჭო სწირავს ხსენებულს სკოლას წელიწადში 300 მან.

როგორც ვხედავთ, პირველ ხანებში დიდის აღტაცებითა და თავ-გამოდებით მოჰკიდებია კავკავის ქართველობა ამ წმინდა საქმეს და ღმერთმა ბრძანოს, შემდეგშიაც ეს მხურვალე თანაგრძნობა არ გაგრილებულიყოს და ის ხმა, რომ ვითომ წევრების რიცხვი არამც თუ არა მატულობს, თანდათან უფრო კლებულობსო, ტყუილი გამომდგარიყოს. თითქმის შეუმცდარად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ ჩვენდა სასიქადულო სკოლის კეთილ-დღეობა მთლად დამოკიდებულია ბ-ნ მიხეილ ყიფიანის ზნეობრივს დახმარებაზედ, რომელიც თავ-გამოდებით ემსახურება ამ წმინდა საქმეს. ამიტომ დიდის მადლობისა და პატივისცემის ღირსია ბ-ნი მიხეილ ყიფიანი და ღმერთსა ვთხოვთ, ჩვენს გაუნათლებელს ხალხს ამ გვარი მოჭირნახულე ბევრი გამოსჩენოდეს.

მათდა საყურადღებოდ, ვისაც სწყურის საზოგადო საქმისთვის თავის დადება, აქვე მოგვყავს ის სასიამოვნო ამბავიც, რომ თუმცა წინად რაღაც მიზეზით ვერა ხერხდებოდა ყაზბეგში ქართულის სკოლის დაარსება, ახლა-კი მთლად ხევის ქართველობა გულით მოწადინებულია, რადგან კავკავზე დაშორებულნი არიან, ამ ქალაქის სკოლაში შვილის გამოზრდა ძვირად ჯდება და ყოვს შეძლებაც ვერ შესწევს. ვისურვებთ, რომ ამ კეთილს საქმესაც გამოსჩენოდეს მოთავე.

ილ. ალხაზაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ჟამად რუსეთში, წარსულთან შედარებით, გაცილებით ბევრია განათლებული კაცი, ზოგიერთი მათგანი უსაქმოდაც-კი დადის და თავისის განათლების შესაფერი ბინა ვერ უშოვნია. ამ გარემოებას ხელზედ იხვევენ ზოგიერთნი, უნივერსიტეტის განადგურების მქადაგებელნი, და გაიძახიან, რომ განათლებამაც ბევრი სიკეთე არ დააყარა ხალხს, ბევრი მათში მშიერი და კუჭ-ცარიელიაო. გაზ. „Недѣля" უარ-ჰყოფს იმ აზრს, ვითომც-და განათლებულთა რიცხვი გადაჭარბებული იყოს. ამ გაზეთის აზრით კულტურა ადამიანთა ცხოვრების გარეგანი მოვლენა არ არის, მის უკავშირდება ნამდვილი აყვავება და კეთილ-დღეობა ქვეყნისაო. მართალია, ბევრი გვყავს მოწმობით და დიპლომით აღჭურვილი უნიჭო ხალხი, მაგრამ განა სათქმელია, რომ ვითომ განათლებულთა რიცხვი ძალიან გადაჭარბებულიაო,

როცა სახელმწიფოს არც ერთის რიგიანის რეფორმის განხორციელება არ შეუძლიან ადგილობრივ გაუნათლებელთა კაცთა ნაკლებულობის გამო, როცა არავინ არის მკვიდრთა შორის ისეთი, რომ ერობის უფროსად და მომრიგებელ-მოსამართლედ იქმნას ამორჩეული... ეხლა ქვეყანას მხოლოდ „განათლებული" კაცი-კი არა სჭირია, არამედ ნიჭიერი და უნარიანი ხალხი, განათლებულებში ამორჩეული. ჩვენს დროს ცხოვრება იმდენად რთული შეიქმნა, რომ განათლებულს კაცს უფრო მეტი მოვალეობა აწვება კისრად, ვიდრე წინად აწვა. თუ ყმაწვილი კაცი ნიჭიერი არ არის და კულტურის მხრით, სულიერად ძლიერი, მაგდენი არაფერი საუნჯეა მხოლოდ იმისი განათლება. ამიტომ რაც შეიძლება უნდა გავავრცელოთ, და ყველგან მოვფინოთ განათლება, რათა ნიჭიერთა და უნარიანთა არჩევანი ადვილად შეგვეძლოს. ვინ არ იცის, რომ ერთის ნამცეცა ოქროს გულისთვის ასობით ფუთს ქვიშასა ჰრეცხავენ და არჩევენ! განათლება მხოლოდ ორის ძალის შემაერთებელი იარაღია—ბუნებითად დაყოლილ გენიოსობისა და ცოდნისა. ცალ-ცალკე ეს ორი ძალა უძლურებად იქცევა. ხოლო შეერთებული-კი სასწაულსა სჩადის. იმისთანა უშველებელ სახელმწიფოში, როგორიც არის რუსეთი, ამ იარაღს დიდი ადგილიც უნდა ჰქონდეს დათმობილიო.

**

ეს სამართლიანი აზრი გაზ. „Недѣля"-სი „Новое Врѣмя"-საც მოსწონს და ეს გაზეთი თავის მხრივაც დასძენს, რომ ფრიად საჭიროა, კლასიკურს სისტემაზედ წარმოებულს სასწავლებელს გარდა რუსეთში ბევრი იყოს აგრეთვე სატეხნიკო და რეალური სასწავლებელი. საჭიროა, რომ ბუნების-მეცნიერებასაც ვასწავლიდეთ ხოლმე ჩვენს შვილებსაო. ეს ბუნების-მეცნიერება-კი არაფრად ეპიტნავება თ. მეშჩერსკის და ამბობს, რომ

როგორც მოსკოვის ბებრუცუნებს, ოსტროვსკის მიერ აწერილთ, ეშინიანთ სიტყვისა „ჟუპელ", ისე ყოველს ჭეშმარიტს მოყვარეს რუსეთისას უნდა აშინებდეს სიტყვა „ბუნების მეცნიერებაო".

მეშჩერსკის სიტყვით, ბუნების მეცნიერება და სოციალიზმი და ლიბერალიზმი ერთმანეთის ბიძაშვილები არიან. გაჩნდება თუ არა გიმნაზიაში „ბუნების-მეცნიერება", ძირი გამოეთხრება მთელს შენობას კლასიკურ განათლებისასაო. ამის პასუხად „Новое Время" ამბობს, რომ

უწინ გიმნაზიებში „ბუნების-მეცნიერებასაც" ასწავლიდნენ, მაგრამ ამ სწავლას არავისთვის ზიანი არ მოუტანია. გიმნაზიის ეხლანდელი მოწაფენი-კი, თუ სოფელში არ არიან აღზრდილნი, მუხასა და ნეკერჩხალს ვერ არჩევენ ერთმანეთში და დარწმუნებულნი არიან, რომ ღვიძლი ადამიანს მარცხენა მხარესა აქვსო.

ამით გაზ. „Новое Время"-ს ვითომ-და მეშჩერსკის დარწმუნება უნდა, მაგრამ ამაოდ იხეთქავს თავს: განა შეიძლება ოსტროვსკის მიერ აწერილი მოსკოვის ბებრუცუნას დააჯეროს ადამიანმა, რომ „ჟუპელი" შესაშინებელი სიტყვა არ არისო, მეშჩერსკი ხომ თითონვე ადარებს თავის თავს ამ ბებრუცუნას...

## წვრილი ამბები

ბრიტანიის მუზეუმს შეუძენია ჩინეთის ბანკის ბილეთი, რომელიც 300 წლის წინად ყოფილა გამოცემული, სანამ ევროპის ქვეყნებში ფულს შემოიღებდნენ.

— ეგვიპტეში უნახავთ მე-XII დინასტიის ხელ-ნაწერი, რომელიც ბებიაობის შესახებ ლაპარაკობს.

— გაზეთს „Ostasiatisches Lloyd"-ში გრძელი წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა კანონით და რა წესით შეუძლიანთ ჩინეთში ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაექორწინნენ. ეს კანონი და ჩვეულება უძველეს დროიდგან არის დამყარებული თურმე ამ ყოველიფრით შესანიშნავს ქვეყანაში. ქმარს ადვილად შეუძლიან ცოლს გაეყაროს, ცოლი-კი თითქმის ვერაფრით ვერ განთავისუფლებს თავს, თუ ქმარი არ დაეთანხმა. ჩინეთის კანონები და ჩვეულება სასტიკად აღუკრძალავს ცოლს, ქმარს გაექცეს და სხვას გაჰყვეს, ან უღალატოს. ეს ისე დიდ დანაშაულად მიაჩნიათ ჩინელებს, რომ ქმარს ნება აქვს ცოლი ბაწრით ჩამოახრჩოს, ან, თუ საყვარელთან მოასწრო, იქვე მოჰკლას. თუმცა ჩვენში ეხლანდელი კანონი ქმარს ცოლის მოკვლის ნებას არასოდეს არ აძლევს, მაგრამ ჩვეულება-კი, როგორც მკითხველმა იცის, თითქმის ისეთივე გვაქვს, როგორც ჩინელებს. უფრო საყურადღებო ის არის, თუ რა გვარი ცოლ-ქმრული ურთიერთობა სცოდნიათ ჩინეთში. ცოლი უნდა იყოს მონასავით მორჩილი და გამგონე ქმრისა და ქმრის ნათესავებისა, არასოდეს არ უნდა უსაყვედუროს რამე თავის მბრძანებელს ქმარს, არამედ იმის წინაშე მოკრძალებული უნდა იყოს და პატივისცემითა და თავ-მდაბლად ეკიდებოდეს ქმარს, არასოდეს არ უნდა დაითროს და არ უნდა ეწეოდეს თრიაქს და სხ. თუ ერთ-ერთს ამ სავალდებულო მცნებას გადუხვა, ქმარს ნება აქვს გაექორწინოს, მაგრამ თავისით-კი ვერა, არამედ სამართლით.

ჩინეთში ერთი ფრიად შესანიშნავი და საგულისხმო ჩვეულება სუფევს: სასტიკად აღკრძალულია ყველაფერი, რაც კანონისაგან დადებული არ არის; ვერავინ ვერ გადუხვევს სამართლისაგან ნაჩვენებს გზას და ყოველი ასო კანონისა და ჩვეულებისა ყოვლად შეუცვლელი, ყოვლად დაურღვეველი უნდა იყოს. თვით ჩინეთის იმპერატორსაც არ შეუძლიან საზოგადო ჩვეულებისა და კანონის შებღალვა და თავის ნებით რომელისამე განაჩენის დადგენა. ამიტომ მსწავლულებს, მსაჯულებს და საზოგადოდ შინაგან საქმეთა მოხელეებს მეტის-მეტი გავლენა აქვთ ჩინეთში, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე სამხედრო მოხელეებს. იქ ჯარი ისე სძაგთ, რომ ქალაქში შემოსვლის ნებას არ აძლევენ და ქალაქის მოშორებით, მინდორში სადმე სცხოვრებს. ქმარი თუმცა სრული პატრონია ცოლისა, მაგრამ თუ ქალმა არ უღალატა, უფლება არა აქვს პირდაპირ განაძოს თავის სახლიდგან: საჭიროა უწინარეს ყოვლისა განსამართლება. აი რანაირად ასრულებენ ამ ჩვეულებას: შეურაცხყოფილი ქმარი მოივლის მთელს სოფელს, არა-

---

ნიერებით, დიდ-მშვენიერი და საამო სანახავია კაცთა ცხოვრებაში და გულით მებრალებიან ისინი, რომელნიც თავის სიცოცხლეში არ დასწრებიან ასეთს დიდებულს სანახავს, როდესაც მთელი ერი სამხიარულო სიმღერას ამბობს ღაღადებით, როდესაც ყველგან გამარჯვების ხმა ისმის, ყველას ერთისა და იმავე გრძნობით უძგერს გული, ყველა ერთსა და იმავე სიხარულს ჰგრძნობს და ერთისა და იმავე სურვილით არის გამსჭვალული.

მე განგებ შევადარე ეს ეროვნული აღტაცება ცეცხლის გაჩენას: ვერაფერი ისე ვერ გამოჰხატავს ამ სანახავს, როგორც ცეცხლის გაჩენა; მაგრამ სახეში მაქვს ის ცეცხლი-კი არა, სახლს რომ წაეკიდება და ადვილადაც გააქრობენ ხოლმე, არამედ ის ცეცხლი, რომელიც ჩნდება სამხრეთ-ამერიკის ულრანს ტყეებში და რომელიც მე მინახავს იქ მოგზაურობის დროს და საკვირველებიდამ გამოვსულვარ.

ზევიდამ გაჩნდება ცეცხლი თუ ძირიდამ, მეხისგან თუ მგზავრის მიერ გადაგდებულ ნაპერწკლისაგან, ორივ ერთია. ეს ცეცხლი არც ცეცხლისაგან დამწვლეველ საზოგადოებას შეაშფოთებს და არც ცეცხლის მქრობელებს დააფაცურებს. იგი მოედება ყველა მხარეს და შეუბრალებლად გადაჰბუგავს ყველაფერს, რაც-კი წინ შეხვდება. წინ ვერაფერი ვერ დაუდგება. ამ ცეცხლის წინაშე ყველა თანასწორია და ყველა ქმნილება ერთნაირად იღუპება იმისგან. ცეცხლი ზვირთ-ზვირთად მიდის აქეთ-იქით, გრიალებს, როგორც ზღვა, ედება მიდამოს, როგორც ბურუსი. როცა ბოლი, ეს წინასწარ მაუწყებელი აოხრებისა, ავარდება მწვანე ბალახზედ, იგი მაშინ იქცევა ცეცხლად, ხოლო ცეცხლი ცეცხლის წაკიდებად.

ცეცხლი თანდათან შორს იწევს, პირველად ნელ-ნელა, შემდეგ-კი უფრო ძლიერდება. წვრილი ხეები თავიანთ ცეცხლს საზოგადო ცეცხლს უერთებენ, ხოლო აღზნეული დიდი ხეები იქცევიან და უფრო აძლიერებენ პატარა ხეების ცეცხლს. ნაპერწკლები ბდღვრიალით აქეთ-იქით იფანტება, ალიც ადის და ზეცას სწვდება, მაგრამ ვერავინ-კი ვერ გაიგებს, რა უფრო აძლიერებს ამ ცეცხლს, რა უფრო ავარვარებს უზარ-მაზარ საკირეს. ჰრიალობს და ტყდება ტოტები, ტყდება თვით დიდრონი ხეებიც და შორს გაქვს ხმა დიდის რევოლიუციისა, სანამ არ მოვა ის დრო, როდესაც კაცი ცისა და დედამიწის შორის ველარ გაარჩევს ვერც ბალახს, ვერც ბუჩქებს, ვერც ხეებს, ვერც ცხოველებს. ამ დროს მხოლოდ ერთის საგნის ხილვა და გრძნობა-ღა შეიძლება: ეს არის განძვინვებული სიბრაზე შეუბრალებელის ალისა. ეს ამბავი მეჯლისია ცეცხლისა, თავხედობაა გავერანებისა; ეს ამბავი სიკვდილია ძველის ქვეყნისა, რომელიც ახლისთვის ნიადაგს ამზადებს.

ამასვე ვხედავთ ეროვნულის დღესასწაულების დროს, იმ დღესასწაულების დროს, რომელიც წესდება არა მინისტრის განკარგულებით, არამედ ერის ურთი-ერთ შორის დამყარებულის მხურვალე გრძნობით, რომელი გრძნობაც აღაგზნებს ხოლმე გულს და გონებას თითოეულისას. საერთო ცეცხლი თვით ცივის გულის კაცსაც-კი გააცეცხლებს, ეგოისტები ამ ცეცხლზედ ძალა-უნებურად ხელს ითბობენ, მხდალნი-კი ვერაფრით ვერ იხსნიან თავს, თუ არა მხოლოდ გაქცევით და დამალვით. ყველა არსება, რომელსაც-კი ადამიანის გული აქვს, ამ ცეცხლზედ უნდა იწვებოდეს და იხრაკებოდეს. მამები, შვილები და უცნობნიც ერთმანეთს ეხვევიან. სიცილი და ტირილი ერთმანეთს ურთდება და ინთქმება ერის აღფრთოვანებულს გრძნობაში; ერს აღფრთოვანებს ერთი და იგივე გრძნობა—სამშობლოსადმი სიყვარული. თვით მარმარილოც-კი ხურდება, როდესაც გარშემო ცეცხლი შემოჰხვევია, ყინულიც დნება ცეცხლის ალისაგან. ჩვენა ვხედავთ, როგორ ილება თვით უმაგრესნი კარნი, ჩაკეტილნი ეჭვიანის და ძუნწის კაცის ხელით, იმსხვრევა უმაგრესნი ბორკილნი, გაჭედილნი შიშისაგან, ყოველის კაცის გული ერთისა და იმავე ცეცხლით უნდა ალენთოს და, როდესაც ესეთი ამბავია, მაშინ სიხარულის ნექტარით დამთვრალი ერი აღარ არჩევს თვის შორის მდიდარს ღარიბისაგან, ყმაწვილს მოხუცისაგან, იგი ერთ ხმივ ღაღადებს საგალობელს გამარჯვებისას და თავის უფლებისას, ღაღადებს ერთ გუნდად და ეს გუნდი შემდგარია ერის ტირილისა, პოეზიისა და აღტაცებისაგან.

ვინც ისე ბედნიერი იყო, რომ შესწრო ჰაბუკობაში 1848 და 1859 წლებს, ეხსომება ასეთი ცეცხლის აღგზნება იტალიელთა გულში და იქნება დღესაც ჰგრძნობდეს სიბერისაგან გაცივებულს თავის ძარღვებში იმ ცეცხლის ძალას. უსათუოდ ეხსომება ზოგიერთნი წამნი წმინდა ექსტაზისა, გამოუთქმელის აღტაცებისა, როდესაც ყოველი სხვა გრძნობა დახშული იყო და მეფობდა მხოლოდ ერთად ერთი გრძნობა—გრძნობა სიყვარულისა სამშობლოს მიმართ.

როგორც გადაწვის შემდეგ ულრანს გაუტეხელს ტყეებში მზადდება ნაყოფიერი ნიადაგი ახალის მცენარის აღმოსაჩენად, ისეც უდიდეს ექსტაზებით ჩაიყრება ხოლმე ახალი საძირკველი და ზედ მყარდება ახალი ისტორია. ამ გვარად მოაქვს სარგებლობა ომებს დამაშვრალის ერისათვის და, თუ ორის ან სამის თაობის განმავლობაში, არ მოხდება ერის ასეთი განმაახლებელი ცეცხლის აღგზნება, სოკოები, ობი და ბაქტერიები მოესხმიან ყველა ხეების ტოტებს და მცენარეთა თესლს, ხოლო ნელ-ნელი ლპობა ლეშისა გაავრცელებს მომაკვდინებელს სუნს, რომელიც სულს უხუთავს ბავშებს აკვანშივე, ჰაბუკებს განრყვნილობისა და სიზანტის მორევში აღრჩობს და ხოცავს ჯერ ისევ დედის მუცელშივე მყოფ ბავშებს.

ი. ბ—ძე.

ხუნებს დოლს და თან ჭყვირის და გაჭკვის. ამ ხმაურობაზე მოგროვდებიან ნაცნობები და ნათესავები, მივლენ მხმობელის სახლში, დასხდებიან და შეუდგებიან საქმის გარჩევას. ჯერ ქმარი დაიწყებს ცოლის ურიგო და უმართებულო ქცევის შესახებ ლაპარაკს, შემდეგ ცოლსაც ეძლევა ნება, რომ ქმრის მიერ დადებული ბრალი უარ-ჰყოს. თუ ქმარმა თავისი სიტყვები ცხადად ვერ დაამტკიცა, სასამართლო იმის საჩივარს არ შეიწყნარებს და უარს ეტყვის. თუ იმისი საჩივარი მართალი გამოდგა, ქმარს ნება მიეცემა დაითხოვოს ცოლი, რომელიც ქმრის ოჯახიდგან ისევ თავის მშობლებთან ან ნათესავებთან მიდის საცხოვრებლად. თუ ვინიცობაა ქალს არც მშობლები ჰყავს და არც ნათესავები, ქმარს ნება აქვს მიჰყიდოს ერთს-ერთს ქალების გამთხოვებელს კანტორას.

ჩინეთში, როგორც ვიცით, მრავალცოლობა არის. რაც ვილაპარაკეთ, ეს მხოლოდ პირველ ცოლზედ ითქმის, რომელიც ნამდვილ ცოლად ითვლება. დანარჩენები კი ხასები არიან. თუ პირველი ცოლი ასე დაჩაგრულია, რასაკვირველია, რომ ხასის ყოფა ერთი-ათად უფრო მძიმეა. ჩინელს ხასის გაგდება არაფრად არ მიაჩნია და ნება აქვს, თუ-კი სამართალმა განქორწინება გადაუწყვიტა, სულაც რომ არა გააჩნდეს-რა საწყალ ქალს, მაშინვე განაძეოს თავის სახლიდგან და ღვთის ანაბარად დასტოვოს.

თუმცა კანონი ნებას არ აძლევს ქალს, სამართალი მოითხოვოს და ქმარს გაშორდეს, მაგრამ ადვილად შეუძლიან თავი დააღწიოს თავის შემაწუხებელ ქმარს. ამისთვის, როცა ჩინელ კაცს ნათესავები ჰყავს მოპატიჟებული, ცოლი უპატიურად მოექცევა იმასა და იმის სტუმრებს. მხოლოდ ეს უბრალო გარემოება საკმარისია, რომ თვით ქმარმა მოითხოვოს სამართალი და თავიდამ მოიშოროს შეურაცხმყოფელი ცოლი.

◆◆

# დეპეშა

24 მაისი

პეტერბურგი. გუშინ გატჩინოში სერბიის ახალმა ელჩმა პეტრონიევიჩმა წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს თავის რწმუნების საბუთები და შემდეგ ხელმწიფე იმპერატრიცაც ჰნახა.

ომსკი. მდინარეები ირტიში და ომი მოდიდდა. წყალმა დაჰფარა ომის ქალაქის მთელი უბანი და სხვა უბანშიაც რამდენიმე ადგილი. ყველაზე მეტად ღარიბნი მკვიდრნი დაზარალდნენ.

პეტერბურგი. „Нов. Вр.“ იუწყება, რომ გალობის სკოლები უნდათ დაარსონ სამრევლო ეკკლესიების მგალობელთა და მედავითნეთათვისაო.

წარდგენილია განსახილველად პროექტი ვოლოგდის სავაჭრო საზოგადოების მიერ რკინის გზის გაყვანისა ვოლოგდიდგან არხანგელსკამდის.

„Гражданинъ“-ი ამბობს, რომ დამტკიცებულ იქმნა წესდება უსასყიდლო სასოფლო წიგნთ საცავების დამართვისაო.

გუშინ ასის თავი პეშკოვი გენერალმა ობრუჩევმა და იმისმა თანაშემწეებმა ინახულეს.

გუშინ პრინცი ნეაპოლელი დაესწრო „Царское Село“-ში გუსარის ლეიბ გვარდიის პოლკის და მსროლელთა მეოთხე ბატალიონის წვრთნასა და აღლუმს. პრინცმა მიიღო რაპორტები გუსარის პოლკის კომანდირის, დიდის მთავრის უფროსის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისა და მსროლელთა ბატალიონის კომანდირისაგან, დაათვალიერა ჯარები, შემდეგ ჯარმა დაიწყო სწავლა და გაიარა საცერემონიო მარში. მერე პრინცმა ჰნახა პაველოვსკი და საღამოს შვიდს საათზე დაბრუნდა პეტერბურგს, სადაც დაესწრო იტალიის საელჩოში იმის პატივსაცემლად გამართულს სადილზე. მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე მინისტრები, უმაღლესნი კარის-კაცნი და სხვანი წარჩინებულნი. დღეს დილას, 9 საათზე, პრინცი წავიდა ფინლიანდიაში, ხარკში, იმატრას ახლო, სადაც ორს დღეს დაჰყოფს.

პარიჟში რომ ამას წინად დააპატიმრეს რუსის ნიგილისტები ბომბისა და ასაფეთქ ნივთიერების მზადებისათვის, ამის შესახებ „Journal de St. Pétersbourg“-ი დიდის სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის გაზეთები ერთხმად თანაუგრძნობენ თავის მთავრობას და ამბობენ, რომ საფრანგეთის მთავრობა ვერ მოითმენდა და, რასაკვირველია, ნებას არ მისცემდა რუსეთიდგან მოსულ ბოროტ-განმზრახველ კაცებს საფრანგეთში მოემზადებინათ იარაღი იმის მეგობარის სახელმწიფოსა და ხალხის წინააღმდეგაო.

„Край“ იუწყება, რომ ხაზინა და ვარშავა-ვენის რკინის გზის საზოგადოება ერთმანეთში მორიგდნენ და აგრეთვე დამტკიცებულ იქმნა ამ გზის ობლიგაციების კონვერსიაო.

ლონდონი. სტამბულოვი აპირობს გაუგზავნოს ნოტა ინგლისს, ავსტრო ვენგრიასა და იტალიას, რომ პრინცი კობურგისა მიიჩნიეთ ბოლგარიის კანონიერ მთავრადაო.

ბერლინი. დღეს, დილას, სეირნობის დროს, გენერალს კაპრივის ცხენი წაექცა, მაგრამ არც მხედარსა და არც ცხენს არა დაშავებიათ რა.

25 მაისი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია: მოწოდებულ იქმნას 1890 წელს ჯარისა და ფლოტის შესავსებლად 260,000 კაცი; ამ რიცხვში ჩაითვალოს ისინიც, ვინც წარმოადგენს წინანდელ ნამსახურობის მოწმობას; თერგისა და ყუბანის ოლქებისა და კავკასიის მკვიდრთაგან 2400 კაცი, ამათ რიცხვში 100 კაცი ოსი-მაჰმადიანია.

გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი, რომ განწესიერდეს ანგარიში ხაზინასა და ლოვო-სევასტოპოლის რკინის გზის საზოგადოების შუა.

„Рус. Инв.“-ში დაბეჭდილია წესები, რომლის ძალითაც ეძლევათ, ნება ქორწინებისა სამხედრო მოსამსახურეთა ყაზახების ჯარებში.

გუშინ გარდაიცვალა შტალ-მეისტერი ივ. პეტ. ძე ნოვოსილცოვი.

„С. Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ ამზადებენ ახალს წესებს, შესახებ სასოფლო პურის მაღაზიებისა. განუწესებიათ, რომ, თუ ვინიცობაა მაღაზიებში მოგროვილს პურს ან დააკლდება, ან წახდება, ან სრულად არ იქნება, ყოველ ამაში პასუხის-მგებელი უნდა იყვნენ ვოლოსტების სტაროსტები.

ტყეთა-მცველობის კანონების შესავსებლად აპირობენ, რომ ამ კანონების მოქმედება გავრცელდეს ნოვგოროდისა, კოლინისა და სხვა გუბერნიებში და უსათუოდ აღკრძალულ იქმნას გასყიდვა ტყისა, თუ ხელ-ალებით გადასაჭრელად გაყიდულია.

წარდგენილია დასამტკიცებლად წესდება დრამატიულ საზოგადოებისა დერპტში რომელსაც აზრად აქვს გამართოს იქ რუსული თეატრი.

რუსეთის ქსოვილ არშიებს (кружева) მუშტარი ემატება საზღვარგარეთიდამაო და ამ ხანებშიაც ერთს პეტერბურგის ფირმას დიდძალის ფასის არშიები შეუკვეთოსო.

პარიჟი. ჰერცოგი ორლეანისა წავიდა ინგლისს.

რაკი ჰერცოგს ორლეანისას აპატიეს, ამის სამაგიეროდ სოციალისტების დასის დეპუტატები მოითხოვენ, რომ საყოველთაო პატიებაც იქმნას გამოცხადებული.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მაისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 6 95 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 139 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | $1,08\frac{1}{2}$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 229 |
| — მეორისა | $212\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| — მესამისა | — „ | 213 | $210\frac{1}{2}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ ჰყიდოთ ჩვენი.

## საზოგადო წასასმელი

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიწზედ!

წავართვეით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის უუთის მსგავსს უუთში გაკეთებულს.

— შემომკვეთლებს ვთხოვთ პირდაპირ ჩვენ შემოგვიკვეთონ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება.

(26—25)

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასნეულებულ ვაზების საქმიდ:

## ვერმორელის აპარატები

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე ვ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმიდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—15)

ტფილისში ქალაქის შუაგულ, გოლოვინის პროსპექტზე, ბანკირის ჩითახოვის სახლში, კრუქოკის, გვერდზე, გავმართე მდიდრულად მორთული ნომრები:

## „დ ა ნ ი ა“

ყოველ მხრით მოხერხებული. ფასი თითო ოთახისა 60 კაპ. დაწყებული 5 მანათამდე დღე და ღამეში.

თთვეობით ბევრად ნაკლებ შეიძლება.

მსურველთათვის საგანებელი ვანაც არის: ცივისა და თბილის წყლისა.

კანტორა თავსმდებია, რომ მოსამსახურე ქალნი და კაცნი თავაზითა და პატივისცემით მოექცევიან მდგმურთ.

საჭმელ-სასმელი გემრიელია, შინაური, სუფთად გაკეთებული.

სადილი ორ-ფერი საჭმელი—55 კ. } მსურველთ ფინჯანი ყავა.
— სამ-ფერი საჭმელი—75 კ. }

გვყავს საკუთარი მოსარეცხე და იფრინდა აქეთ-იქით გასაგზავნად.

(30—21) ნომრების პატრონი პეტრე საყვარელიძე




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი ჰ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა

ბ ე რ ლ ი ნ შ ი

და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული

ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,

მიხეილის ქუჩაზედ, № 117.

## ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ-სახნისიანი გუთანი.

სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).

მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.

ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.

სამკალი მაშინა.

სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, სარომი და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—24)

## რძის ფქვილი ნესტლესი ქილას 1 მან.




ძუძუ მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწყობა.

მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი საზრდოდ უფროსთათვის, თუ სუსტი კუჭი აქვსთ.

წყალ-გამოცლილი, გასქელებული რძე ნესტლესი ქილას 85 კაპ.

ისყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის საათიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი: ს. პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ეგოროვის სახლში — ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად ერთი აგენტი მთელის რუსეთისა Александръ Венцель

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას).

(12—11)


Доз. ценз. Тифлисъ, 25-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე